პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 102 (9198)
28 მაისი
ოთხშაბათი
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

### თბილისის VIII საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში

# მასპინძელთა სიურპრიზები

ტურნირზე სიურპრიზის შემომთავაზებელი გუნდისთვის რომ საგანგებო პრიზი დაეწესებინათ, მას უთუოდ საქართველოს ნაკრები დაიმსახურებდა. სიურპრიზი იყო, მაგალითად, მათ მიერ ოლიმპიურ ჩემპიონთან, იუგოსლავიის ნაკრებთან ფრედ დამთავრებული მატჩი. სიურპრიზი გახლდათ ჩვენი ქვეყნის პირველ ნაკრებთან, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონთან და მსოფლიოს თასის მფლობელთან შეხვედრის პირველ სამ პერიოდში გამართული თანაბარი ბრძოლა, როცა მასპინძლებმა ტოლი არაფერში დაუსარბიელი დაატოვებინეს (თამაშის ბოლომდე, შეცვლის უფლებით). ნიკოლაიშვილმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა და თავისი გუნდი დააწინაურა (5:3). მალე მასპინძლებს კვლავ აღმოაჩნდათ მეტი მოთამაშე და კუტივაძემ ანგარიში გაზარდა (6:3). პერიოდის დასასრულამდე 15 წამით ადრე შანდორ ტოოტის ბედი ზუმბულიძემ გაიზიარა. ასე რომ, უნგრელებმა მეოთხე პერიოდი რიცხობრივი უპირატესობით დაიწყეს, რაც პეტროვარიმ გამოიყენა კიდეც (6:4). მაგრამ, სულ მალე, უნგრელებს კიდევ ერთი წყალბურთელი გამოაკლდათ. მესამე გაფრთხილების გამო მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა იმრე ტოოტმა (თამაშის ბოლომდე, შეცვლის უფლებით). ქართველ წყალბურთელებს კვლავ მეტი მოთამაშე აღმოაჩნდათ, მაგრამ მალე „მინდვრის“ მოთამაშე გიორგაძესაც დაატოვებინეს სარბიელი (მხოლოდ 45 წამით). სარბიელზე სულ რამდენიმე წამით აღდგა რიცხობრივი თანაფარდობა, რამდენიმე წამით იმიტომ, რომ ჩვენი გუნდის კაპიტანს რურუას, ტოოტებისა და ზუმბულიძის მსგავსად, სარბიელი დაატოვებინეს. დიცემ თავისი გუნდის რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. სულ მალე „დამნაშავეებს“ შეუერთდა უნგრელთა მეკარე კუნა, რომელმაც საკუთარი კარის უნებელსაყოფად თამაშის წესი დაარღვია და სარბიელი 45 წამით (ან კარის აღებამდე) დატოვა. აქ ნიკოლაიშვილმა იყოჩაღა — 7:5. თამაშის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა, როცა უნგრელმა დიცემ მესამედ მიმართა აკრძალულ მეთოდს. არბიტრებმა მის მიმართ უკიდურეს ზომებს მიმართეს — შეცვლის უფლების გარეშე გააძევეს თამაშის ბოლომდე.



წყალბურთში მეტოქეთა გაძევება ჩვეულებრივი სასჯელია, მაგრამ ამ გუნდების შეხვედრაში მსაჯებს ერთობ ხშირად უხდებოდათ თავიანთი ძალა-უფლების გამოყენება. ასე რომ, ეს მატჩი ამ მხრივაც განსხვავებული იყო.

ასე იყო თუ ისე, მასპინძლებმა გაიმარჯვეს (7:5), გაიმარჯვეს სრულიად დამსახურებულად და ტურნირის ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ადრე ჩვენს წყალბურთელებს იმისათვის ვსაყვედურობდით, რომ ისინი კარგად ვერ იყენებდნენ სტანდარტულ სიტუაციებს და ეგრეთწოდებულ ზედმეტ მოთამაშეს. მაგრამ ახლა, ამ ტურნირის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ჩვენს ბიჭებს ეს ნაკლი დაუძლევიათ. დინამოელთა ნაკლი იყო ისიც, რომ თამაშის ბოლომდე ერთნაირი შემართებით ვერ იბრძოდნენ. ახლა კი გუნდის თითოეული წევრი იუგოსლავიელებთან, უნგრელებთან და ჭაბუკთა ნაკრების წინააღმდეგ ბოლომდე დიდი მონდომებით, შედეგიანად იბრძოდა.

თბილისის ტრადიციულ ტურნირზე საქართველოს ნაკრები პირველად ასცილდა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურს, რომელზეც მხოლოდ ორჯერ (1980, 1984 წლებში) ავიდა.

იმედია, წლევანდელ ტურნირზე მოპოვებული ვერცხლის მედლები ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნებს და ისინი საკავშირო ჩემპიონატის დანარჩენ მატჩებში უკეთესად იასპარეზებენ.

შეგახსენებთ მასპინძელთა გუნდის შემადგენლობას: მ. გიორგაძე, გიორგაძე, ზუმბულიძე, ბაღათურია, გვახარია, რურუა, კუტივაძე, კოღუაშვილი, კანდელაკი, ნიკოლაიშვილი.

ტურნირის მთავარ პრიზს — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზს დაეუფლა სსრ კავშირის პირველი ნაკრები, რომელმაც შეჯიბრების ბოლო დღეს იუგოსლავიელებს სძლია (11:7).

**ავთანდილ გურასაშვილი.**

**გია ახალაძის ფოტო.**

### თბილისის საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში

# საუკეთესო მატჩი ბოლო დღეს

**გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მოსკოვის, ფრუნზესა და თბილისის დინამოელთა კოლექტივების გარდა მონაწილეობდნენ კრაკოვის (პოლონეთი) „ვისლა“, პარდუბიცეს (ჩეხოსლოვაკია) „რუდა ჰვეზდა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.**

ბოლო ტურამდე შეჯიბრებაში დაუმარცხებლად ლიდერობდნენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები — მათ 4-4 მატჩი მოიგეს. ამიტომ (თუმცა ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა) თანაკლუბელთა შეხვედრა ფინალის ტოლფასი გამოდგა. უნდა ითქვას, რომ თბილისში ჩამოსულ სპეციალისტთა უმრავლესობა უპირატესობას სტუმრებს ანიჭებდა: წინა ტურების მატჩებს მოსკოველები უფრო დამაჯერებლად იგებდნენ, ვიდრე თბილისელები. მაგრამ მასპინძლებმა შესანიშნავად ჩაატარეს გადამწყვეტი შეხვედრა და დიდი ანგარიშით დაამარცხეს ძლიერი მეტოქე — 119:102 (62:56). განსაკუთრებული ქების ღირსია გენადი კაპუსტინი, რომელიც არა მარტო თავდასხმაში თამაშობდა შედეგიანად, არამედ დაცვაშიც აქტიურად მოქმედებდა. მის მიერ მოგროვილი 28 ქულიდან ნახევარზე მეტი სამქულიან ტყორცნებზე მოდის. კიდევ უფრო მეტი ქულა (33) შესძინა თავის გუნდს ნიკოლოზ დერიუგინმა. გია სანაძემ და ანდრეი ტიუბინმა 19-19 ქულა მოაგროვეს. მოსკოველთაგან თავი გამოიჩინა ტიიტ სოკმა — 30 ქულა.

მეტად დაძაბულად წარიმართა ტურნირის უცხოელი სტუმრების — „ვისლასა“ და „რუდა ჰვეზდას“ მატჩი. ჩეხოსლოვაკიელებმა, როგორც იქნა, პირველი გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში — 79:78 (43:35). ფრუნზეს დინამოელებმა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს აჯობეს — 64:50 (28:23).

ამრიგად, 5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის „დინამომ“. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოვის „დინამო“ (4 ქულა), „ვისლა“ (2), ფრუნზეს „დინამო“ (2), საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (1) და „რუდა ჰვეზდა“ (1).



ტურნირის საუკეთესო სნაიპერის პრიზი გადაეცა თბილისის დინამოელ ნიკოლოზ დერიუგინს, რომელმაც 5 მატჩში 149 ქულა მოაგროვა. საუკეთესო მოთამაშედ სპეციალურმა ჟიურიმ მოსკოველი ტიიტ სოკი აღიარა. შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისთვის დაწესებული ჯილდო თბილისის „დინამოს“ წევრმა ირაკლი ვაშაკიძემ დაიმსახურა, ხოლო ყველაზე გამოცდილი მოთამაშის პრიზი მოსკოვის დინამოელმა ვ. ჟიგილიმ მიიღო.

* * *

**სურათზე: ნიკოლოზ დერიუგინი უტევს მოსკოველთა ფარს.**

**გია ახალაძის ფოტო.**

**ყაზბეგის რაიონში ჩამკვდარია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. დაპირება დაპირებად რჩება, სიტყვას საქმე არ მოსდევს. რაისაბჭოს აღმასკომი და პირადად მისი თავმჯდომარე ს. მარსაგიშვილი არ მიმართავენ გადამჭრელ ზომებს მუშაობის გარდაქმნისთვის.**

იხ. მე-2 გვ.



### ციტატა

**ესტონეთის** მოსახლეობის მესამედზე მეტი, ექვსასი ათასი ადამიანი ჩაბმულია ფიზკულტურასა და სპორტში. მშდ კომპლექსის ნიშნით დაჯილდოებულია 229.788, ხოლო „სსრკ ტურისტის“ ნიშნით — 46.283 სხვადასხვა ასაკის ადამიანი. რესპუბლიკამ ჩვენს ქვეყანაში პირველზე გახსნა სავალდებულო უფასო კურსები ცურვაში მეორე-მესამე კლასების მოსწავლეთათვის. ასეთი ციფრებით იწყება ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სახალხო სპორტის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ინდრეკ ტოომეს ინტერვიუ, რომელიც გაზეთ „იზვესტიის“ 27 მაისის ნომერში დაიბეჭდა სათაურით **„ჯანმრთელები წავახალისოთ, სუსტები კი დავჯარიმოთ?“**

გთავაზობთ ციტატას ამ ინტერვიუდან:

**„ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის დახარჯული ყოველი მანეთი უზრუნველყოფს დამატებით თანხებს ეროვნულ შემოსავალში. როგორც სოციოლოგები აღნიშნავენ, იმ ბრიგადებში, რომლებიც ფიზიკურ კულტურას მისდევენ, შრომითი დისციპლინის დარღვევის შემთხვევა ბევრად უფრო იშვიათია ვიდრე იქ, სადაც ფიზკულტურის გავლენა მინიმალურია. ასეთ ბრიგადებში მეოთხედით არის შემცირებული წუნი, გამორიცხულია ლოთობა, თამბაქოს მოხაწევად დროის დაკარგვა მოცდენას უთანაბრდება. ფიზიკურ კულტურასთან დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც საკუთარი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებასთან. ასეთ ხალხს სჭირდება ჯანმრთელი ადამიანის კლინიკა, კლინიკა, რომელზეც ჯერ კიდევ აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი ოცნებობდა. იქ განახაღვრავდნენ არასაკმარისი ვარჯიშის ხარისხს, კონსულტაციას გაუწევდნენ გაჯანსაღების, ფსიქოლოგიური თვითრეგულაციის, დიეტის, გაკაჟების საკითხებზე და საერთოდ ექმნა „ავადმყოფობის ისტორიის“ ნაცვლად „ჯანმრთელობის ისტორიას“ დაწერდა“.**

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР

# ფინასფარ ითამაშეს

**ვანი, 27 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).** ვახტანგ ქარსელაძის VII მემორიალის მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ამ დღეს IX ტურის ნაცვლად დასკვნითი, XV ტურის შეხვედრები ჩატარდა.

ყაიმით დამთავრდა შემდეგი პარტიები: სტურუა — გუფელდი, გურგენიძე — ჭიპაშვილი, ჯანჯღავა — ეფიმოვი, თორია — ანიკაევი და ჰუსეინოვი — ასეევი. გიორგაძე — გურიელის პარტია გადაიდო. არ შედგა აზმაიფარაშვილი — ავაპოვის შეხვედრა.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზურაბ სტურუა — 6 ქულა, ნინო გურიელი, გია გიორგაძე — 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ედუარდ გუფელდი, იური ანიკაევი — 5,5-5,5.

### „ბრწყინვალე დედოფალი“

**ასე** უწოდეს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ახალგაზრდებმა თავიანთ წარმომადგენელს წლევანდელ „სტუდენტურ მეჯლისზე“. დედოფალს ახლდა 60 საგანგებოდ შერჩეული რაინდი. მათი გულშემატკივარი კი მთელი ინსტიტუტი იყო. ირინე ციხისთავს, პედაგოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს, ხელბურთელსა და მოცეკვავეს, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრს, სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, წარმატების დიდი შანსი ჰქონდა. მართალია, „თბილისის დედოფლად“ სხვა აირჩიეს — ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა, მაგრამ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ნაწყენი მაინც არ დარჩენილან. ზეიმზე „სტუდენტური მეჯლისი-86“ მათმა პროგრამამ დაიმსახურა საგანგებო პრიზი — „იუმორისთვის“.

### ჩერნობილის ფონდში

**ჩერნობილის** ატომურ ელექტროსადგურში მომხდარმა უბედურებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საბჭოთა ადამიანების საუკეთესო თვისებები. ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიით დაზარალებულთ.

გუშინ სპორტკომბინატ „დინამოდან“ გვაცნობეს, რომ ჩერნობილის დახმარების ფონდში კომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთი დღის ხელფასს გადარიცხავს.

**სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა:** „...ქალაქებსა და სოფლებში, ზრდასრულთა კოლექტივებში, ხშირად ელიან მითითებებს და ზემოდან დახმარების იმედით არიან. რატომ ვიუელთებთ ცუდად იმას, რაც უკვე ჩვენს განკარგულებაშია, — სასახლეებს, კლუბებს, სტადიონებს, პარკებსა და მრავალ სხვას? რატომ არ უნდა მოკიდონ ხელი, როგორც ჯერ არს, ამ საკითხებს საბჭოებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა? რატომ არ უნდა გავაჩაღოთ მოძრაობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უმარტივესი სპორტული მოედნებისა და დარბაზების უფრო აქტიური მშენებლობისათვის? და, ბოლოს, რატომ არ უნდა შევქმნათ კოოპერაციულ საწყისებზე სპორტული, ტურისტული და სხვა კლუბები?“.

# თავმჯდომარეებს ცვლიან, საქმე არ იცვლება

**ყაზბეგის რაიონმა, თავისი შესაძლებლობების კვალობაზე, საქართველოს ნაკრებს ბევრი კარგი სპორტსმენი აღუზარდა. მათ შორის იყვნენ ცნობილი ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები, ველოსიპედისტები და, რა თქმა უნდა, მთამსვლელები. მაგრამ ეს უველაფერი წინათ იყო, დიდი ხნის წინათ. მერე ყაზბეგში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თანდათან ჩაკვდა.**

**წარსული** ენთუზიაზმი, მასთან ერთად ტრადიციები, წარმატებები და სახელი ისტორიას ჩაბარდა. რაიონის წარმომადგენლებმა თანდათან დათმეს პოზიციები, მერე კი სულ დაივიწყეს- რესპუბლიკური შეჯიბრებები. რაიონის ხელმძღვანელობა ასეთ დროს, როგორც ზოგჯერ ხდება, მდგომარეობას „ანეიტრალებდა“ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებით. მხარდაჭერა არ იყო და საქმეც უხეიროდ მიდიოდა. ერთ თავმჯდომარეს მეორე ცვლიდა, საქმეს კი, ცხადია, არაფერი შველოდა. ან როგორ ეშველებოდა, როცა თავმჯდომარე მუდამ მარტოხელა კაცი იყო საქმეში. სამწუხაროდ, მდგომარეობა არც ახლა შეცვლილა და ამას კვლავ ურიგდებიან რაიონის ხელმძღვანელები, პირველ ყოვლისა — სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი და პირადად აღმასკომის თავმჯდომარე ს. მარსაგიშვილი.

რაიაღმასკომი და მისი ხელმძღვანელობა დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად წარმართვისათვის. ფაქტობრივად კი აი რა მდგომარეობაა: რაიონში არ მუშაობს არც ერთი გამჯანსაღებელი ჯგუფი, არ ტარდება მასობრივი შეჯიბრებები, ქალაქზე რჩება მუშაობის გარდაქმნისათვის ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ყაზბეგს არავითარი წვლილი არ შეაქვს რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში. უველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ურიგდებიან ინერტულობას, ქმნიან მოჩვენებით კეთილდღეობას, ცოცხალ, პრაქტიკულ საქმეს ცვლის უალბ სტატისტიკური ანგარიშები. შრომით კოლექტივებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მთლიანად ხელმოშვებულია.

თუმცა, რა მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რაიონის მატერიალურ-სპორტული ბაზა უსუსურია, როცა, რეზერვების გამოვლენა-ამოქმედებაზე რომ არაფერი ვთქვათ, არსებულ შესაძლებლობებსაც ვერ იყენებენ? საბუთი გნებავთ? რაიონის ერთადერთი „სპორტული კომპლექსი“ — ბალახმორეული ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკები, გავერანებული ტრიბუნები და ფარებმონგრეული კალათბურთელთა სარბიელი, რომლებსაც სათოფეზე არავინ ეკარება. ყოველივე ამის შესახებ „ლელოს“ არაერთხელ დაუწერია. თითქმის ყველა ჩვენს პუბლიკაციას სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გამოცვლა მოსდევდა, ბაზების კეთილმოწყობაზე, ახლის აშენებაზე და ბავშვების სპორტით დაინტერესებაზე კი არავინ ფიქრობდა. დაპირებები დაპირებებად რჩებოდა.

ყაზბეგის რაიონს შარშანაც ვეწვიეთ. სურათი კვლავ იგივე დაგვხვდა, კვლავ დაპირებებით გამოგვისტუმრეს. მას შემდეგ, ზუსტად ერთი წლის თავზე, გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ ავსულიყავით ყაზბეგში.

რა ვნახეთ? ისევ ის ბალახმორეული ფეხბურთის მოედანი და ფარებმონგრეული კალათბურთის სარბიელი. სამაგიეროდ, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ისევ ახალი ჰყავთ. ნუთუ ერთი წელიწადი საკმარისი არ იყო, რომ ეს უბადრუკი მოედნები მოეწესრიგებინათ? დავინტერესდით, განიხილეს თუ არა აღმასკომის სხდომაზე რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი. როგორც აღმასკომის თავმჯდომარემ ს. მარსაგიშვილმა გვითხრა, ეს საკითხი სხდომაზე არ გაუტანიათ მხოლოდ იმიტომ, რომ სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ახალი დანიშნულია და ჯერ ბევრს ვერაფერს მოასწრებდა. შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარემ რაიონის გეგმები გაგვაცნო. გვაჩვენა „სპორტული კომპლექსის“ მახლობლად გაჭრილი ბალავერი, რომელზეც სპორტდარბაზის აშენებას აპირებენ. ყაზბეგში შესასვლელთან სკვერს აშენებენ და მის ტერიტორიაზე ჩოგბურთის კორტების, კალათბურთისა და ფრენბურთის სარბიელის მოწყობას აპირებენ. ტერიტორია მოუსწორებიათ და გრუნტიც შემოუზიდავთ. იქვე მდინარის ერთი ტოტი დაუგუბებიათ და საჭუმბალაო მოუწყვიათ. სოფელ აჩხოტში ერთი დიდი, სწორი მინდორი გამოუყვიათ, სადაც სპორტული სარბიელის მოწყობა აქვთ განზრახული, მის ირგვლივ სარბენი ბილიკების მოსაწყობად ადგილიც მოუმზადებიათ, ზედმეტი გრუნტი გაუკვთ. შეუძენიათ მოთხილამურეთათვის განკუთვნილი ბიგელი, რომლის დამონტაჟებაც იქვე, სოფელ აჩხოტის ფერდობებზე სურთ. ფიქრობენ, აპირებენ, გადაუწყვეტიათ... ჩვენ კი გვეგონა, რომ ამჯერად უველაფერი თუ არა, ნაწილი მაინც უკვე გაკეთებულ-მოწყობილი დაგვხვდებოდა. ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა მუშაობა, ალბათ გაისადაც გაწბილებული დავრჩებით.

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს ოდესღაც სპორტული ტრადიციებით მდიდარ ამ რაიონში ახლა უველაფერი თავიდან იწყება, მიძინებული მუშაობის გამოცოცხლება ახლაღა გაახსენდათ. კიდევ კარგი, ენთუზიასტებიც გამოჩნდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ცრობილი მოჭიდავე, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული რომან მარსაგიშვილი, რომელსაც ბავშვები შემოუკრებია და ჭიდაობის ანბანს ასწავლის. ასწავლის უსასყიდლოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე. მარსაგიშვილმა და მისმა შეგირდებმა მთელ რაიონში ერთ სპორტდარბაზსაც რომ ვერ მიაგნეს, ტურბაზის კლუბს შეეკედლნენ. ის კლუბი ინვენტარით აღჭურვეს და ვარჯიშიც გააჩაღეს, მაგრამ ეს ენთუზიაზმი ალბათ ჩაქრება, თუ სპორტდარბაზის საკითხი დროზე არ გადაწყდა. ვინ იცის, ტურბაზა როდის მოითხოვს თავის კუთვნილ კლუბს, მაშინ კი მარსაგიშვილი აღსაზრდელებთან ერთად ქუჩაში დარჩება.

ყაზბეგი მაღალმთიანი რაიონია. მას, ცხადია, სხვა მრავალი პრობლემაც აწუხებს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ: მთავარი მიზანი ადამიანების კეთილდღეობა, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდაა.

**ერთგული ბრალდებული**

**ვუპირველოებით დაბეჭდილი**

მარტის ბოლოს საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოსა და „ლელოს“ რედაქციის ბრიგადამ სპორტული ბაზების ზაფხულის სპორტული სეზონისათვის მზადყოფნის შემოწმების მიზნით მოინახულა საბურთალოს რაიონის სპორტული ობიექტები. რუბრიკით „ლაბტის წრეში“ 25 და 27 მარტს „ლელოში“ გამოქვეყნდა ორი წერილი: „თვითნებობა აშკარაა, ზომებს არავინ ღებულობს“ და „ამასაც მოედნები ჰქვია?“.

საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიდან გვაცნობეს: „რაიხალბჭოს აღმასკომმა განიხილა და სამართლიანად სცნო სარეიდო ბრიგადის კრიტიკული შენიშვნები. საცხოვრებელ ადგილებში სპორტულ მოედნებზე კონტროლის შესუსტებისა და სარემონტო სამუშაოების გეგმა-გრაფიკის ჩაშლისათვის რაიონის სახბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის მმართველს ამხ. კ. ჩიხრაძეს გამოეცხადა საყვედური, ტრესტის მმართველის მოადგილეს ამხ. ი. ბარათაშვილს კი — სასტიკი საყვედური. სპორტულ მოედნებზე ზედამხედველობის შესუსტებისათვის შენიშვნა მიეცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ჯინჯარაძეს.

სახბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა სპორტული მოედნების შეკეთების გეგმა-გრაფიკის ჩაშლისათვის მკაცრად დასჯა 75-ე, 76-ე, 79-ე, 81-ე, 85-ე და 86-ე სახბინაოსაექსპლუატაციო უბნების უფროსები და უფროსი ინჟინერები.

გაცნობებთ, რომ ეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები უკვე შეკეთდა და მოწესრიგდა. აღმასკომის გადაწყვეტილებით, სპორტული მოედნების მოწყობისა და მოწესრიგების, საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ მუშაობაზე კონტროლის დაწესების, აგრეთვე სპორტულ ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით შეიქმნა შტაბი, რომელშიც ცხრა წევრი გაერთიანდა“.

**დ. ჯაფარიძე,**
**საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიხალბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# ყველაზე ღირსეული ჩემპიონი

**ორჯონიკიძეში** **დამთავრდა საბჭოთა კავშირის 42-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები, განაწილდა გუნდური ადგილები. საქართველოს მოჭიდავეებმა 1 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი მეოთხე ადგილზე გავიდნენ. წინ არიან რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და უზბეკეთის კოლექტივები.**



— ჩემპიონატის აკორდი — შეხვედრა № 412. სარბიელზე ბოლო წყვილს უბმეს: დავით გობეჯიშვილი („დინამო“, თბილისი) — ვიქტორ ზანგიევი („დინამო“, ორჯონიკიძე). რამდენიმე წუთში გაირკვევა ჩემპიონატის ყველაზე „მძიმე“ ოქროს მედლის მფლობელის ვინაობა. მაგრამ ჯერ იმაზე ვისაუბროთ, თუ როგორ მოვიდნენ მეტოქეები ფინალამდე. გობეჯიშვილი პირველ წრეში რუსთაველ კობა ლოჩოშვილს შეხვდა და 3 წუთსა და 35 წამში წმინდად გაიმარჯვა. მეორე წრეში აშკარა უპირატესობით დაამარცხა კიშინოველი ნიკოლაი პასტუხოვი, მესამე წრეში მეტოქე (ალმაათელი ანატოლი ლტოკცი) არ გამოცხადდა და გობეჯიშვილს წმინდა გამარჯვება მიეკუთვნა. ჩვეჯგუფში ბოლო შეხვედრა ჩვენს ფალავანს მინსკელ მალხაზ მერმანიშვილთან ჰქონდა. ოქროსბრძოლის მიწურულს მერმანიშვილმა პასიურობისთვის მესამე გაფრთხილება მიიღო. ფინალში გობეჯიშვილი გავიდა. ზანგიევმა ჩვეჯგუფში ხუთივე მეტოქე (მოსკოველი დავით ბუზარიაშვილი, კრასნოიარსკელი ანდრეი იუდინი, ბელაია ცერკოველი ნიკოლაი კუზერი, ლენინგრადელი კონსტანტინ ცომარტოვი და თბილისელი ზაზა თურმანიძე) ჭულებით დაამარცხა.

...ფინალი. გობეჯიშვილმა აქტიურად დაიწყო შეხვედრა — პირველივე წუთზე ზედიზედ ორჯერ გადაიყვანა მეტოქე ჩოქბჯენში და დაწინაურდა — 2:0. პირველი პერიოდი ამ ანგარიშით დამთავრდა, შესვენების შემდეგ ქართველი ფალავნის უპირატესობა უფრო აშკარა გახდა. ზანგიევი ბრძოლას გაურბოდა და ერთთავად იმის ცდაში იყო, როგორმე წმინდად არ წაეგო შეხვედრა. საფინალო სასტვენის ხმა რომ გაისმა, ტაბლოზე ენთო ციფრები — 8:0. დავით გობეჯიშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია, ორგზის ჩემპიონი! შარშანდელი სპორტული სეზონის ტრიუმფატორის „კოლექციას“ კიდევ ერთი ოქროს მედალი მიემატა. ჩვენი მოჭიდავე, რა თქმა უნდა, ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გობეჯიშვილს ახლა ბადალი არა ჰყავს მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის. როცა ფინალური ორთაბრძოლა დამთავრდა, მაყურებელმა ტაშით გააცილა ყველაზე ღირსეული ჩემპიონი. გულშემატკივართა ყურადღება არც ახალგაზრდა რუსთაველ სპორტსმენს კობა ლოჩოშვილს (130 კგ) მოჰკლებია. მის ყოველ გამოსვლას ტაშით ხვდებოდა მაყურებელი, კობაც იშვიათი მონდომებით იბრძოდა ხალიჩაზე. საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტმა რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაამარცხა და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეეძლო თბილისელ მამუკა რაზმაძეს (90 კგ). მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მის პირისპირ იდგა სახელოვანი მოსკოველი მოჭიდავე სანასარ ოჰანესიანი. რაზმაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ტიტულიან მეტოქეს, მაგრამ ძალა ბოლომდე არ ეყო და ჭულებით დამარცხდა.

ყველაფერი ეს ჩემპიონატის ბოლო დღეს მოხდა. მანამდე კი გამოვლინდნენ პრიზიორები პირველივე ხუთ წონით კატეგორიაში. ჩვენი ყურადღება, რა თქმა უნდა, იმ ხალიჩისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ლერი ხაბელოვი (100 კგ) ალიარა — შეეცდი, ხადარცევს ჭულა არ ეკუთვნოდაო, მაგრამ ამით არაფერი არ შეცვლილა, 'შედეგი ძალაში დარჩა. დასანანია. უფრო დასანანი კი ის არის, რომ ხაბელოვმა ამ ჩემპიონატში ჩვეული ოსტატობა და ბრძოლისუნარიანობა ვერ გამოავლინა. მართლაია, მან სასტარტო ბრძოლები აშკარა უპირატესობით მოიგო, მაგრამ დასკვნით შეხვედრებში როგორღაც უინიციატივოდ იშიდავა, თორემ აქამდე არ მივიდოდა საქმე. რა თქმა უნდა, იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ხადარცევი ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის (იგი მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონია), მაგრამ ობიექტური შესაძლებლობებით დღეს ხაბელოვი გაცილებით მაღლა დგას ხადარცევზეც და სხვა მეტოქეებზეც. სხვათა შორის, ასე ფიქრობს საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ივან ბარიგინი.

ამჯერად წერილს ამით დავამთავრებთ. ჩემპიონატის შედეგებზე ვრცელი საუბარი „ლელოს“ ფურცლებზე ახლო მომავალში გვექნება.

**ელგუჯა ბერიშვილი.**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**
**ორჯონიკიძე.**

**ანგარიში**

**48 კგ.** 1. ვ. გოგოლევი (იაკუტსკი), 2. გ. მეჯლუმიანი (ერევანი), 3. მ. კუშნირი (ლვოვი). სულ 14 მონაწილე.

**52 კგ.** 1. ვ. თოგუზოვი (ორჯონიკიძე), 2. ე. მამედოვი (ხარკოვი), 3. ს. ზამბალოვი (ულან-უდე)... 21. ნ. ნასყიდაშვილი (გორი). 21 მონაწილე.

**57 კგ.** 1. რ. კარაევი (მახაჩკალა), 2. ა. ხადარცევი (ორჯონიკიძე), 3. კ. აბდულდაუდოვი (შეიარაღებული ძალები)... 9. ე. მუსოიანი (სოხუმი), 10. ზ. ტატუაშვილი (თბილისი), 15. ე. გვიჩიანი (სოხუმი), 29 მონაწილე.

**62. კგ.** 1. ხ. ისაევი (მოსკოვი), 2. ს. ბელოგლაზოვი (კიევი), 3. ს. მასიანოვი (ვორონეჟი)... 11. ზ. მაჰომედოვი (თბილისი), 26. ვ. სალთხუციშვილი (თბილისი). 27 მონაწილე.

**68 კგ.** 1. ა. ფაძაევი (ტაშკენტი), 2. ბ. ბუდაევი (ულან-უდე), 3. ა. მაჰომედოვი (კრასნოიარსკი), 4. გ. გაბოძე (თბილისი)... 11. გ. ქენქაძე (თბილისი). 24 მონაწილე.

**74 კგ.** 1. ა. ვარაევი (გროზნო), 2. ტ. მაჰომადოვი (მოსკოვის ოლქი), 3. ს. კიტაევი (მინსკი)... 6. ლ. სირაძე (ქუთაისი), 15. მ. სამადაშვილი (გორი), 16. ნ. ფათურიშვილი (თბილისი). 31 მონაწილე.

**82 კგ.** 1. ვ. მოდოსიანი (კრასნოიარსკი), 2. ლ. ჯაბრაილოვი (მახაჩკალა), 3. ი. ვორობიოვი (მოსკოვი)... 14. ა. გოგოლიშვილი (თბილისი). 20 მონაწილე.

**90 კგ.** 1. მ. ხადარცევი (ტაშკენტი), 2. ვ. ეკლოევი (მინსკი), 3. ს. ოჰანესიანი (მოსკოვი), 4. მ. რაზმაძე (თბილისი)... 14. მ. ხუროძე (სოხუმი), 15. კ. ლომიძე (თბილისი)... 22. გ. ოქროპირიძე (თბილისი). 23 მონაწილე.

**100 კგ.** 1. ა. ხადარცევი (ტაშკენტი), 2. ლ. ხაბელოვი (თბილისი), 3. რ. თიბილოვი (ოდესა)... 11. ზ. ტყეშელაშვილი (თბილისი), 12. თ. ინდუაშვილი (გორი). 18 მონაწილე.

**130 კგ.** 1. დ. გობეჯიშვილი (თბილისი), 2. ვ. ზანგიევი (ორჯონიკიძე), 3. მ. მერმანიშვილი (მინსკი)... 5. კ. ლოჩოშვილი (რუსთავი), 7. ზ. თურმანიძე (თბილისი), 11. ლ. ებანოიძე (თბილისი). 19 მონაწილე.

წარმოგიდგენთ ფინალისტებს

# მექსიკა-86

ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 3 დღე

## ურუგვაი

# გამარჯვება მოსწყურდათ

**XIII მსოფლიო** ჩემპიონატის მონაწილეთაგან ურუგვაის ეროვნულმა გუნდმა ყველაზე ადრე გაიანადა ფინალური ტურნირის საგზური (ცხადია, არ ვგულისხმობთ იტალიისა და მექსიკის ნაკრებ გუნდებს, რომლებმაც ეს საგზურები შესარჩევი შეჯიბრების გარეშე მოიპოვეს). ერთი შეხედვით, ამ გარემოებას ხელი უნდა შეეწყო ურუგვაელთათვის — მათ შესაძლებლობა მიეცათ მეტოქეებზე ადრე დაეწყოთ უშუალო სამზადისი მომავალი ასპარეზობისთვის. ბევრი სხვა გუნდი ალბათ ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შანსს, ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელობა კი მოკლებულია საშუალებას, თავისი შეხედულებისამებრ გამოიძახოს ეროვნული გუნდის კანდიდატები, თუნდაც მოკლევადიანი საწვრთნელი შეკრება ჩაუტაროს მათ. საქმე ის არის, რომ საუკეთესო ურუგვაელ ფეხბურთელთა დიდი უმეტესობა საჰრეთ ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა კლუბში თამაშობს. ამიტომ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ომარ ბორასმა ძირითად შემადგენლობას მხოლოდ მას შემდეგ მოუყარა თავი, რაც დამთავრდა ესპანეთის, საფრანგეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები.

მიუხედავად ამისა, ურუგვაელთა გუნდს ბევრი სპეციალისტი ფინალური ასპარეზობის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს. მაგალითად, ასეთი აზრისაა ინგლისის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბობი რობსონი, რომელმაც მარტის მიწურულს, თბილისში ყოფნისას ჟურნალისტებს განუცხადა, ოქროს მედლების მოპოვების მთავარი პრეტენდენტი ურუგვაის ნაკრებიაო. რობსონის თქმით, ეს გუნდი უაღრესად თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს: დახვეწილ ტექნიკას შესანიშნავად ერწყმის სისწრაფე და კარგი ფიზიკური მომზადება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საფეხბურთო სამყაროში ბორასი ჩინებულ ტაქტიკოსად არის ცნობილი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რობსონისა და სხვა ექსპერტების მოსაზრება საფუძველს მოკლებულია არ არის.

ურუგვაიში მოუთმენლად ელიან ფინალური ტურნირის დაწყებას. გულშემატკივრებს მოენატრათ თავიანთი ფეხბურთელების წარმატებები — ახალგაზრდა თაობა ხომ არ მოსწრებია ურუგვაის ნაკრების შესანიშნავ გამარჯვებებს 1930 და 1950 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. სამხრეთ ამერიკის ბოლო ჩემპიონატის ოქროს მედლები და მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეჯიბრებაში მოპოვებული დამჯერებელი წარმატება ქომაგებისთვის საკმაოდ საკმარისი გამოდგა, ერწმუნათ თავიანთი გუნდის ძალა. „მართლაც, რატომ არ შეიძლება ყველას ვაჯობოთ მექსიკაში, თუ ხუთი წლის წინათ ყველას ვაჯობეთ „მუნდიალიტოს“ ტურნირში?“ ფიქრობენ გულშემატკივრები.

მთავარ იმედს ისინი მაინც ნაკრების ლიდერზე, 23 წლის ენცო ფრანჩესკოლიზე ამყარებენ. ფრანჩესკოლი გუნდის თამაშს წარმართავს, მინდვრის შუაგულშიც მეტად ეფექტიანად მოქმედებს და თავადაც ბევრი გოლი გააქვს. შესაშურია მისი სტაბილურობაც: 1984 წელს იგი სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მარშან კი ჟურნალისტთა იმავე გამოკითხვაში მეორე ადგილი მიაკუთვნეს. ფრანჩესკოლი სულ 19 წლისა იყო, როცა ბორასმა პირველად მიიწვია ეროვნულ ნაკრებში. „მას შემდეგ გასულმა ოთხმა წელმა ახალგაზრდა ფეხბურთელს საკმარისი გამოცდილება შესძინა საიმისოდ, რომ მექსიკაში ლიდერის ფუნქციები იტვირთოს“, — ამბობს მწვრთნელი.

თავდასხმაში გამოირჩევიან და სილვა და რამოსი. ნახევარდაცვაში ფრანჩესკოლის გვერდით მყარი ადგილი უკავიათ ბარიოსსა და ბოსიოს. გუნდში საიმედო დაცვაა — მიმომხილველთა აზრით, გუტიერესის, დიეგოს, პერეირასა და ბატისტას ოთხეული ნებისმიერ ნაკრებს დაამშვენებდა. ურუგვაელთა გუნდის კარს იცავს 29 წლის როდრიგესი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება.

საინტერესოა, რომ ყველა დასახელებული ფეხბურთელი (ბოსიოს გარდა) უცხოეთის სხვადასხვა კლუბში ასპარეზობს. „დანიის ნაკრების მწვრთნელს ზეპ პიონტეკსა და მეს მსგავსი პრობლემების გადაჭრა გვიხდება, მაგრამ იმედი მაქვს, მასაც და მეც მექსიკაში ძლიერი გუნდები გვეყოლება“, — ამბობს ბორასი. სხვათა შორის, ურუგვაელები და დანიელები პირველ ეტაპზე ერთმანეთის მეტოქეები არიან. მათთან ერთად V ჯგუფში ითამაშებენ გფრ-ისა და შოტლანდიის ფეხბურთელები. საყოველთაო აზრით, წინასწარ ეტაპზე საუკეთესო სწორედ V ჯგუფია.

### ურუგვაის რესპუბლიკა

**სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. მდებარეობს კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთში.**
**ტერიტორია — 186,9 ათასი კვ. კმ.**
**მოსახლეობა — 2556 ათასი ადამიანი (1963)**
**დედაქალაქი — მონტევიდეო.**
**ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია (ასოსიასიონ დე ფუტბოლ) დაარსდა 1900 წელს.**
**ფიფა-ს წევრი გახდა 1923 წელს.**
**კონმებოლი-ის წევრი გახდა 1916 წელს. უდიდესი სტადიონი: მონტევიდეოს „სენტენარიო“ (70 000).**
**ურუგვაის ნაკრები ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი (1930 და 1950 წლები), თორმეტჯერ მოიპოვა სამხრეთ ამერიკის უძლიერესი გუნდის სახელი.**

### ურუგვაის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

| № | თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში ურუგვაელთა გოლები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 18.07.1930 | ჯგ | მონტევიდეო | პერუ | 1:0 კასტრო |
| 2 | 22.07. “ | “ | მონტევიდეო | რუმინეთი | 4:0 დორადო, სკარონე, ანსელმო, სეა |
| 3 | 27.07. “ | 1/2 | მონტევიდეო | იუგოსლავია | 6:1 სეა (3), ანსელმო (2), ირიარტე |
| 4 | 30.07. “ | ფ | მონტევიდეო | არგენტინა | 4:2 დორადო, სეა, ირიარტე, კასტრო |
| 5 | 2.07.1950 | ჯგ | ბელუ-ორიზონტი | ბოლივია | 8:0 სკიაფინო (4), მიგესი (2), გიჯა, ვიდალი |
| 6 | 9.07. “ | ფ. ჯგ | სან-პაულუ | ესპანეთი | 2:2 ვარელა, გიჯა |
| 7 | 13.07. “ | “ | სან-პაულუ | შვეიცია | 3:2 მიგესი (2), გიჯა |
| 8 | 16.07. “ | “ | რიო-დე-ჟანეირო | ბრაზილია | 2:1 სკიაფინო, გიჯა |
| 9 | 16.06.1954 | ჯგ | ბერნი | ჩეხოსლოვაკია | 2:0 მიგესი, სკიაფინო |
| 10 | 19.06. “ | “ | ბაზელი | შოტლანდია | 7:0 ბორხესი (3), ანადიე (2), მიგესი (2) |
| 11 | 26.06. “ | 1/4 | ბაზელი | ინგლისი | 4:2 ამბრუაზი, სკიაფინო, ვარელა, ბორხესი |
| 12 | 30.06. “ | 1/2 | ლოზანა | უნგრეთი | 2:4 ჰოხბერგი (2) |
| 13 | 3.07. “ | III ად. | ციურიხი | ავსტრია | 1:3 ჰოხბერგი |
| 14 | 30.05.1962 | ჯგ | არიკა | კოლუმბია | 2:1 კუბილა, სახია |
| 15 | 2.06. “ | “ | არიკა | იუგოსლავია | 1:3 კაბრერა |
| 16 | 6.06.“ | “ | არიკა | სსრ კავშირი | 1:2 სახია |
| 17 | 11.07.1966 | ჯგ | ლონდონი | ინგლისი | 0:0 |
| 18 | 15.07. “ | “ | ლონდონი | საფრანგეთი | 2:1 როჩა, კორტესი |
| 19 | 19.07. “ | “ | ლონდონი | მექსიკა | 0:0 |
| 20 | 23.07. “ | 1/4 | შეფილდი | გფრ | 0:4 |
| 21 | 2.06.1970 | ჯგ | პუებლა | ისრაელი | 2:0 მანეირო, მუხიკა |
| 22 | 6.06. “ | “ | პუებლა | იტალია | 0:0 |
| 23 | 10.06. “ | “ | პუებლა | შვეიცია | 0:1 |
| 24 | 14.06. “ | 1/4 | მეხიკო | სსრ კავშირი | 1:0 ესპარაგო |
| 25 | 17.06 “ | 1/2 | გვადალახარა | ბრაზილია | 1:3 კუბილა |
| 26 | 20.06. “ | IIIად | მეხიკო | გფრ | 0:1 |
| 27 | 15.06.1974 | ჯგ | ჰანოვერი | ჰოლანდია | 0:2 |
| 28 | 19.06. “ | “ | ჰანოვერი | ბულგარეთი | 1:1 პავონი |
| 29 | 23.06. “ | “ | დიუსელდორფი | შვეიცია | 0:3 |

### ურუგვაის ნაკრების შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში

| წელი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ად. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1930 | 4 | 4 | 0 | 0 | 15-3 | 1 |
| 1950 | 4 | 3 | 1 | 0 | 15-5 | 1 |
| 1954 | 5 | 3 | 0 | 2 | 16-9 | 4 |
| 1962 | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | — |
| 1966 | 4 | 1 | 2 | 1 | 2-5 | — |
| 1970 | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| 1974 | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | — |
| სულ | 29 | 14 | 5 | 10 | 57-39 | |

### ურუგვაის ნაკრების შედეგები მსოფლიო პირველობათა შესარჩევ ტურნირებში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1957-1985 | | | | | |
| შინ | 15 | 12 | 1 | 2 | 31-11 |
| სტუმრად | 15 | 5 | 7 | 3 | 14-14 |
| სულ | 30 | 17 | 8 | 5 | 45-25 |

## ჩრდილოეთ ირლანდია

# „პრაგმატისტის“ ჰეთ-თრიკი

**ჩრდილოეთ** ირლანდიის ნაკრებმა წლეულს მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური. ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტიანმა საფეხბურთო გამოცემამ, ინგლისურმა ჟურნალმა „უერლდ სოკერმა“ ამ წარმატებას „ბილირ ბინგემის ჰეთ-თრიკი“ უწოდა, და აი, რატომ: 1958 წელს, როცა ჩრდილოეთ-ირლანდიელები თავიანთ პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრნენ, ბინგემი ამ გუნდის მარჯვენა გარემარბი იყო (მაშინ, შვეიცარიაში, ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა მეოთხედფინალს მიაღწიეს), 1982 წელს, ესპანეთში, ბინგემმა უკვე თვითონ წაიყვანა გუნდი — მისი უფროსი მწვრთნელი იყო, ახლა კი ნაკრები ბინგემის ხელმძღვანელობით მექსიკის მსოფლიო პირველობაშიც ასპარეზებს.

დიდი ბრიტანეთის სამეფოში შემავალ ამ ქვეყანას უწინაც ჰყოლია თვითმყოფადი ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელები (გავიხსენოთ თუნდაც ჯორჯ ბესტი), მაგრამ გუნდში ბინგემის მისვლამდე ჩრდილოეთირლანდიელებმა მხოლოდ ერთხელ დაძლიეს შესარჩევი ასპარეზობის ზღუდე. ერთი მწვრთნელი მეორეს ცვლიდა, სურათი კი უცვლელი რჩებოდა. 1979 წელს, როცა გუნდმა მორიგი მარცხი განიცადა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ნაკრების მწვრთნელი დენი ბლენჩფლაუერი გადადგა და მისი ადგილი ბინგემმა დაიკავა. მაშინ ბრიტანეთის გაზეთები წერდნენ, რომანტიკოსი პრაგმატისტმა შეცვალაო. ასეა თუ ისე, ნაკრების ახალმა ხელმძღვანელმა გუნდის შემადგენლობის გადაუხალისებლად სულ მალე მიაღწია პირველ წარმატებას — ჩრდილოეთირლანდიელებმა მოიპოვეს დიდი ბრიტანეთის ჩემპიონის ტიტული, რომელსაც უკანასკნელად 66 (!) წლის წინ ფლობდნენ. ეს მიღწევა გუნდმა 1984 წელსაც გაიმეორა.

როგორც ზემოთ ითქვა, „პრაგმატისტმა“ საერთაშორისო სარბიელზეც გამოიჩინა თავი. 1982 წელს მისმა ნაკრებმა არა მარტო ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მიიღო, არამედ ფინალურ ტურნირშიც კარგად იასპარეზა. ყოველ შემთხვევაში, გეთამაშების მეორე ეტაპზე თამაში ამ პატარა ქვეყნის ფეხბურთელთათვის ურიგო შედეგად არ უნდა ჩაითვალოს.

მექსიკაში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მეტოქეები იქნებიან ბრაზილიის, ესპანეთისა და ალჟირის გუნდები, მაგრამ ბინგემს გული არ დასწყვეტია, რომ ძლიერ ოპონენტებთან მოუწევს ჭიდილი. —წილისყრის წინ ერთადერთი სურვილი მქონდა: მოვხვედრილიყავით გვადალახარის ჯგუფში, რადგან ჩემი ვარაუდით ყველაზე ნაკლებად სწორედ ამ ქალაქის კლიმატურ პირობებთან შეგუება გაგვიჭირდება. ოცნება ამიხდა — წინასწარი ტურნირის სამივე შეხვედრას გვადალახარაში ჩავატარებთ. ახლა ყველაფერი ჩემს ბიჭებზეა დამოკიდებული, — ამბობს 54 წლის ბინგემი.

„ბიჭები“ კი მას ბევრ ბრძოლაში ჰყავს გამოცდილი. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის ნაკრების მეკარეზე, 40 წლის პატ ჯენინგსზე, რომელსაც ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით — 116. საერთოდ, ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წევრთა საშუალო ასაკი საკმაოდ სოლიდურია— დაახლოებით 30 წელი. მწვრთნელი დიდ იმედს ამყარებს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელზე ნორმან უაითსაიდზე, რომელსაც, თუმცა 21 წლისაა, უკვე აქვს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის გამოცდილება.

ერთი სიტყვით, ჯენინგსი, უაითსაიდი და მათი პარტნიორები მექსიკაში პატივმოყვარე ზრახვებით მიემგზავრებიან.

### ჩრდილოეთ ირლანდია

**დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნაწილი.**
**მდებარეობს კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთში.**
**ტერიტორია — 14,2 ათასი კვ. კმ.**
**მოსახლეობა — 1,5 მილიონი ადამიანი (1977).**
**დედაქალაქი — ბელფასტი.**
**ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია (აირიშ ფუთბოლ სოსიეიშნ) დაარსდა 1880 წელს.**
**ფიფა-ს წევრი გახდა 1911 წელს (გარდა 1921-1924 და 1929-1945 წლებისა).**
**უეფა-ს წევრი გახდა 1954 წელს.**
**უდიდესი სტადიონები: ბელფასტის „უინძორ პარკი“ (58 000), ბელფასტის „ოვალი“ (40 000).**
**ნაკრების პირველი მატჩი: 1882 წელი. ბელფასტი. ინგლისი — 0:13. სულ დღეისთვის: 378 თამაში, 91 მოგება, 79 ფრე, 208 წაგება, 421-865 ბურთების სხვაობა.**

### ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში

| № | თარიღი | ეტაპი | ქალაქი | მეტოქე | ანგარიში ირლანდიელთა გოლები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8. 6.1958 | ჯგ | ჰალმსტადი | ჩეხოსლოვაკია | 1:0 კეში |
| 2 | 11.06. “ | “ | ჰალმსტადი | არგენტინა | 1:3 მაკპარლენდი |
| 3 | 15.06. “ | “ | მალმიო | გფრ | 2:2 მაკპარლენდი (2) |
| 4 | 17.06 “ | “ | მალმიო | ჩეხოსლოვაკია | 2:1 მაკპარლენდი (2) |
| 5 | 19.06. “ | 1/4 | ნორჩოპინგი | საფრანგეთი | 0:4 |
| 6 | 17.06.1982 | ჯგ | სარაგოსა | იუგოსლავია | 0:0 |
| 7 | 21.06. “ | “ | სარაგოსა | ჰონდურასი | 1:1 არმსტრონგი |
| 8 | 25.06. “ | “ | ვალენსია | ესპანეთი | 1:0 არმსტრონგი |
| 9 | 1.07. “ | II ეტ | მადრიდი | ავსტრია | 2:2 ჰემილტონი (2) |
| 10 | 4.07. “ | “ | მადრიდი | საფრანგეთი | 1:4 არმსტრონგი |

### ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების შედეგები ცალკეულ ჩემპიონატებში

| წელი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1958 | 5 | 2 | 1 | 2 | 6-10 |
| 1982 | 5 | 1 | 3 | 1 | 5-7 |
| სულ | 10 | 3 | 4 | 3 | 11-17 |

### ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების შედეგები მსოფლიო პირველობათა შესარჩევ ტურნირებში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1949-1985 | | | | | |
| შინ | 22 | 15 | 2 | 5 | 41-24 |
| სტუმრად | 27 | 3 | 10 | 14 | 18-38 |
| ნეიტ. მინდორზე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 |
| სულ | 52 | 19 | 14 | 19 | 63-63 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის თასზე — დაწყვილდნენ:

**„დინამო“ (თბილისი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი)**
**„ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)**
**„დინამო“ (გათუმი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)**

ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის ოცდამეთორმეტედფინალის მატჩები. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ესაა სსრ კავშირის თასის 1987 წლის გათამაშების წინასწარი ეტაპის შეხვედრები. შემდგომი, მეთექვსმეტედფინალური მატჩები, რომლებშიც უმაღლესი ლიგის გუნდებიც ჩაებმებიან, დაგეგმილია 14 ივნისისთვის (თასის მესამე ეტაპი).

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში მოხდა მეთექვსმეტედფინალური ეტაპის წყვილების წილისყრა. **თბილისის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ I ლიგის გუნდს — „როსტსელმაშს“ (დონის როსტოვი). ქუთაისელები კიროვაბადში შეხვდებიან II ლიგის IX ზონის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „ქიაფაზს“, ბათუმის დინამოელები კი თავიანთ მინდორზე მიიღებენ უმაღლესი ლიგის წარმომადგენელს — ხარკოვის „მეტალისტს“.**

სხვა წყვილები (თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე):

„დინამო“ (მინსკი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი), „დნეპრი“ (მოგილიოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ხიმიკი“ (გროდნო) — „ნეფთჩი“ (ბაქო), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „დაუგავა“ (რიგა) — „ქაირათი“ (ალმა-ათა), „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (კიევი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი), ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „არარატი“ (ერევანი).

**„ხუთბალლიანი“**

გუშინწინ მოსკოვში „ბალტიკა“ — „სპორტლოტო“ — 6:0, 2[illegible] ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-45“-იდან: [illegible] (ძიუდო), 15 (ბაიდარებითა და [illegible] ნოეთი ნიჩბოსნობა), 21 (ცურ[illegible] 28 (ტყვიის სროლა), 32 (ფეხ[illegible] რული ციგურაობა), 33 (ფეხბურ[illegible]

„სპორტლოტო 5-36“-იდან: [illegible] (კლასიკური ჭიდაობა), 9 (სა[illegible] ტკეცილო ველორბოლა), 22 (ფ[illegible] ლში ხტომა), 28 (ტყვიის სროლ[illegible] 31 (ფარიკაობა).

**რედაქტორის მოადგილ[illegible]**
**თ. გაჩეჩილა[illegible]**

## უმაღლესი ლიგა

24 და 25 მაისს გაიმართა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს:

**„დინამო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ 1:0 (0:0).** გოლი 67-ე წუთზე გაიტანა ბოროდიუკმა.
დუბლიორები — 0:1.

**„დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:4 (0:0).** 3 ბურთი გაიტანა ი. სავიჩევმა, ერთიც — გრეჩნევმა.
გააფრთხილეს ტორპედოელი პოლუკაროვი და მინსკელი მეტლიცკი.
დუბლიორები — 0:0.

**„ჟალგირისი“ — „შახტიორი“ 0:1 (0:1).** ბურთი 44-ე წუთზე გაიტანა გრაჩოვმა.
გააფრთხილეს გრაჩოვი.
დუბლიორები — 2:3.

**„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1 (0:1).** გოლები: პლოსკინა („ჩერნომორეცი“), რუდაკოვი („სპარტაკი“).
გააფრთხილეს სპარტაკელი ხიდიატულინი და ოდესელი ბაგაპოვი.
დუბლიორები — 1:1.

**„ზენიტი“ — „მეტალისტი“ 1:1 (1:1).** გოლები: ტარასოვი („მეტალისტი“), ჩუხლოვი („ზენიტი“).
დუბლიორები — 2:3.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 28 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 10 | 7 | 1 | 2 | 20-10 | 15 |
| „სპარტაკი“ | 9 | 6 | 2 | 1 | 27-9 | 14 |
| „დინამო“ თბ. | 11 | 6 | 2 | 3 | 13-10 | 14 |
| „ჩერნომორეცი“ | 11 | 5 | 4 | 2 | 16-13 | 14 |
| „შახტიორი“ | 10 | 5 | 3 | 2 | 13-11 | 13 |
| „ტორპედო“ მ. | 9 | 4 | 3 | 2 | 13-7 | 11 |
| „ზენიტი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 18-17 | 11 |
| „ჟალგირისი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 17-17 | 10 |
| „მეტალისტი“ | 11 | 3 | 3 | 5 | 8-10 | 9 |
| „ტორპედო“ ქ. | 11 | 3 | 3 | 5 | 11-14 | 9 |
| „დინამო“ კ. | 7 | 3 | 2 | 2 | 13-12 | 8 |
| „არარატი“ | 11 | 3 | 2 | 6 | 3-9 | 8 |
| „დინამო“ მ. | 10 | 2 | 3 | 5 | 11-16 | 7 |
| „დინამო“ მნ. | 10 | 1 | 5 | 4 | 5-11 | 7 |
| „ნეფთჩი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 6-17 | 6 |
| „ქაირათი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 5-16 | 6 |

# მექსიკა-86

## მსოფლიო ჩემპიონატი ტელეეკრანებზე

**31 მაისს იწყება მსოფლიოს XIII ჩემპიონატი ფეხბურთში, შეჯიბრება, რომელსაც ყველანი ახლა მოუთმენლად მოველოდით ბოლო წლების მანძილზე.**

ფეხბურთის მოყვარულები თავიანთ წერილებში გვთხოვდნენ გაგვეცნო მათთვის თუ როგორ იწარმოებს მსოფლიო ჩემპიონატის ტელეტრანსლიაცია ცისფერ ეკრანებზე. ამის თაობაზე „ლელოში“ სხვადასხვა დროს რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, ახლა კი საშუალება გვაქვს გულშემატკივრებს მივაწოდოთ იმ შეხვედრათა ზუსტი გრაფიკი, რომლებიც მექსიკის ქალაქების სტადიონებზე ჩატარდება და რომლებსაც ცენტრალური ტელევიზია გადასცემს 31 მაისიდან მოყოლებული მთელი ივნისის განმავლობაში.

მსოფლიო ჩემპიონატის 52 მატჩი მექსიკის 12 ქალაქში გაიმართება. 6 წინასწარი ჯგუფის მატჩების განრიგი ადრევე იყო გამოქვეყნებული, ახლა ამ კალენდარს ხელახლა ვაქვეყნებთ. როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვისა და მექსიკის დრო ერთმანეთისგან განსხვავდება 10 საათით და როცა მექსიკაში თამაშები, ვთქვათ, ადგილობრივი დროით 16 საათზე დაიწყება, მოსკოვში უკვე ღამის 2 საათი იქნება.

31 მაისს 22 საათზე მოსკოვის დროით ცენტრალური ტელევიზია გადასცემს **მსოფლიოს XIII ჩემპიონატის ოფიციალურ გახსნას, შედგება № 1 მატჩი იტალიისა და ბულგარეთის გუნდებს შორის.** კვირას, 1 ივნისს, კვლავ 22 საათზე მოსკოვის დროით, დაიწყება მეტად საინტერესო, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის ტელერეპორტაჟი: ესპანეთი — ბრაზილია.

გთავაზობთ ჩემპიონატის წინასწარი ქვეჯგუფების 36 მატჩის კალენდარს: პირველ სვეტში აღნიშნულია ყოველი მატჩის რიგითი ნომერი, მეორე სვეტში — წინასწარი ჯგუფის ნომერი, შემდეგ — მატჩის ჩატარების თარიღი, მეოთხე სვეტში — ქალაქი, სადაც თამაში ჩატარდება, მეხუთე სვეტში დასახელებულია მეტოქეები, ხოლო ბოლო სვეტში — მატჩის ჩატარების დრო (მოსკოვის დროით).

№ 1, 3, 5, 7, 11, 15, 16 ,20, 23, 26, 28, 33 და 35 მატჩები გადაიცემა უშუალოდ თამაშის დროს, პირდაპირი ტრანსლიაციით, ხოლო დანარჩენებს ვიხილავთ მეორე დღეს, საღამოთი, ჩანაწერით. შავი შრიფტით მითითებულია ყველა ის მატჩი, რომლებსაც სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზია გადასცემს ზემოხსენებული წესით.

სულ დაგეგმილია 40 მატჩის ტელერეპორტაჟი 52-დან, 24 მატჩს გადასცემენ წინასწარი ტურნირის მსვლელობისას, ხოლო დასკვნითი ეტაპის ყველა 16 მატჩს — უკლებლივ.

| №№ | ჯგუფი | თარიღი | ქალაქი | გუნდები | | დაწყების საათი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | I | 31.V. | მეხიკო | იტალია | — ბულგარეთი | 22.00 |
| 2. | III | 1.VI. | ლეონი | კანადა | — საფრანგეთი | 02.00 |
| 3. | IV | 1.VI. | გვადალახარა | ესპანეთი | — ბრაზილია | 22.00 |
| 4. | I | 2.VI. | მეხიკო | არგენტინა | — სამხ. კორეა | 22.00 |
| 5. | III | 2.VI. | ირაპუატო | სსრ კავშირი | — უნგრეთი | 22.00 |
| 6. | VI | 2.VI. | მონტერეი | მაროკო | — პოლონეთი | 02.00 |
| 7. | II | 3.VI. | მეხიკო | ბელგია | — მექსიკა | 22.00 |
| 8. | IV | 3.VI. | გვადალახარა | ალჟირი | — ჩრ. ირლანდია | 22.00 |
| 9. | VI | 3.VI. | მონტერეი | პორტუგალია | — ინგლისი | 02.00 |
| 10. | II | 4.VI. | ტოლუკა | პარაგვაი | — ერაყი | 22.00 |
| 11. | V | 4.VI. | კერეტარო | ურუგვაი | — გფრ | 22.00 |
| 12. | V | 4.VI. | ნეცაუალკოიოტლი | შოტლანდია | — დანია | 02.00 |
| 13. | I | 5.VI. | პუებლა | იტალია | — არგენტინა | 22.00 |
| 14. | I | 5.VI. | მეხიკო | სამხ. კორეა | — ბულგარეთი | 02.00 |
| 15. | III | 5.VI. | ლეონი | საფრანგეთი | — სსრ კავშირი | 22.00 |
| 16. | III | 6.VI. | ირაპუატო | უნგრეთი | — კანადა | 22.00 |
| 17. | IV | 6.VI. | გვადალახარა | ბრაზილია | — ალჟირი | 22.00 |
| 18. | VI | 6.VI. | მონტერეი | ინგლისი | — მაროკო | 02.00 |
| 19. | II | 7VI.. | მეხიკო | მექსიკა | — პარაგვაი | 22.00 |
| 20. | IV | 7.VI. | გვადალახარა | ჩრ. ირლანდია | — ესპანეთი | 22.00 |
| 21. | VI | 7.VI. | მონტერეი | პოლონეთი | — პორტუგალია | 02.00 |
| 22. | II | 8.VI. | ტოლუკა | ერაყი | — ბელგია | 22.00 |
| 23. | V | 8.VI. | კერეტარო | გფრ | — შოტლანდია | 22.00 |
| 24. | V | 8.VI. | ნეცაუალკოიოტლი | დანია | — ურუგვაი | 02.00 |
| 25. | III | 9.VI. | ლეონი | უნგრეთი | — საფრანგეთი | 22.00 |
| 26. | III | 9.VI. | ირაპუატო | სსრ კავშირი | — კანადა | 22.00 |
| 27. | I | 10.VI. | პუებლა | სამხ. კორეა | — იტალია | 22.00 |
| 28. | I | 10.VI. | მეხიკო | არგენტინა | — ბულგარეთი | 22.00 |
| 29. | II | 11.VI. | მეხიკო | ერაყი | — მექსიკა | 22.00 |
| 30. | II | 11.VI. | ტოლუკა | პარაგვაი | — ბელგია | 22.00 |
| 31. | VI | 11.VI. | გვადალახარა | პორტუგალია | — მაროკო | 02.00 |
| 32. | VI | 11.VI. | მონტერეი | ინგლისი | — პოლონეთი | 22.00 |
| 33. | IV | 12.VI. | გვადალახარა | ჩრ. ირლანდია | — ბრაზილია | 22.00 |
| 34. | IV | 12.VI. | მონტერეი | ალჟირი | — ესპანეთი | 22.00 |
| 35. | V | 13.VI. | კერეტარო | დანია | — გფრ | 22.00 |
| 36. | V | 13.VI. | ნეცაუალკოიოტლი | შოტლანდია | — ურუგვაი | 22.00 |

## II ლიგა

**26 მაისს** გაიმართა II ლიგის IX ზონის X ტურის მატჩები: „ოლიმპია“ (აშტარაკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:2, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „კოლხეთი“ (ფოთი) 6:2, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „დილა“ (გორი) 0:1, „გიანჯლიკი“ (ბაქო) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 3:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0.

გადადებულია X ტურის 2 შეხვედრა. დღეს ითამაშებენ „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) და „ქიაფაზი“ (ბაქო) — „დინამო“ (სოხუმი).

**31 მაისს,** 16 საათზე, თბ[illegible] ლისის ჭადრაკის სასახლეში გ[illegible] იმართება ჭადრაკის კულტურ[illegible] რესპუბლიკური სახალხო უნ[illegible] ვერსიტეტის მეცადინეობა. ლ[illegible] ქციებს წაიკითხავენ საერთაშ[illegible] რისო დიდოსტატები ალექს[illegible] სუეტინი („ტარ-ტაკოვერ-მაკაგ[illegible] ნოვ-ბონდარევსკის ვარიანტი [illegible] რპოვ-კასპაროვის მატჩის მა[illegible] ლების მიხედვით“) და ნანა ა[illegible] ექსანდრია („ცენტრის მნიშვნ[illegible] ლობა და ბრძოლა ცენტრის[illegible] ვის“).

**1 ივნისს,** 11 საათზე, სამ[illegible] ფაკულტეტზე დაიწყება შემა[illegible] მებელი მეცადინეობა, რომ[illegible] საც ჩაატარებენ ა. სუეტინი, [illegible] ტატი თამაზ კიკიანი, დოცენტ[illegible] მერაბ თხელიძე, რესპუბლ[illegible] დამსახურებული მწვრთნელი შ[illegible] თა ინწკირველი და ოთ[illegible] ალხანიშვილი, საერთაშორის[illegible] არბიტრი ევგენი მელიქსედ-ბ[illegible] და საკავშირო კატეგორიის მ[illegible] ჯი რაფაელ მეხტიევი.

**„ლოკომოტივის“ სტადიო[illegible]**

**(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)**

**საქართველოს სსრ ჯანმრ[illegible] ობის დაცვის სამინისტროს [illegible] დიცინო სახწავლებლების მ[illegible] ვლეთა სპარტაკიადა.**

**ქალთა ფეხბურთი[illegible]**

**29 მაისი**

**თბილისის III სამ. სახწ. „სპარტაკი“ — ქუთაისის სამ. სახწ. „იმერეთი“**
დასაწყისი 19 ს.

**31 მაისი**

**თბილისის III სამ. სახწ. [illegible] გუნდი „სპარტაკი“ — ზუგდიდის სამ. სახწ. „ოდ[illegible]**
დასაწყისი 19 ს.

**2 ივნისი**

**ფინალური შეხვედრები**

ბილეთები გაიყიდება სტ[illegible] ნის სალაროებში მატჩების [illegible] 11 საათიდან.

## ინფორმაცია

**დონაუეშინგენი (გფრ).** აქ მიმდინარე იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში 52 კგ. წონითი კატეგორიის სპორტსმენთა პირველივე გამოსვლა მოზრდილთა მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. ჩინელმა ხე ჩოციუანმა ატაცში 116 კგ აჩვენა და 0,5 კილოგრამით გაუმჯობესა ბულგარელი ნენო ტერზიისკის მიერ სამი წლის წინ დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

**რომი.** მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირში ადგილობრივი სპორტსმენების გარდა უნგრეთის, საბერძნეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, გფრ-ის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ჩვენმა მოცურავეებმა რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს. 200 მ. ბატერფლაის სტილით ცურვაში პირველი ადგილი ტაშკენტელმა დიმიტრი პანკოვმა დაიკავა 2.03;62, მეორე შედეგი კრასნოდარელ ალექსანდრე საგჩენკოს ჰქონდა — 2.04,21. პანკოვმა მესამე პრიზი მოიპოვა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც — 1.54,21.

**დიუსელდორფი.** დამთავრდა ჩოგბურთელთა გუნდური მსოფლიო თასის გათამაშება. საპატიო პრიზი საფრანგეთის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში შვეიცარიის გუნდი დაამარცხა 2:1. ანრი ლეკონტმა (საფრანგეთი) აჯობა ანდერს იარიდს (შვეცია) 6:3, 3:6, 6:1, მათს ვილანდერმა (შვეცია) — ტერი ტულასნს (საფრანგეთი) 6:1, 6:4. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წყვილთა შეხვედრას, რომელშიც ლეკონტმა და გი ფორჟემ ვილანდერ—იარიდის წყვილი დაამარცხეს — 6:3, 2:6, 6:2.

**პარიზი.** ფრანგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება საფრანგეთის სპორტსმენებმა მოიპოვეს. ფინალში მათ ჩინეთის გუნდი დაამარცხეს — 3:1.

**ფლორენცია.** ამ ქალაქში გამართულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ეკვადორელმა ანდრეს გომეშმა მოიგო. ფინალში მან შვედი ჰენრიკ სანდსტრემი დაამარცხა — 6:3, 6:4.

## ელვა-ინფორმაცია

**ვილნიუსი, 27 მაისი. ტურნირის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 16 წლის უნგრელმა მოსწავლემ ილდიკო მადლმა. მან 12 ტურში 10,5 ქულა მოაგროვა და მოწინააღმდეგეთათვის მიუწვდომელი გახდა.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის [illegible] დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება [illegible] ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 [illegible]